



გიორგი მაჭარაშვილი

**„სარწმუნოებად მართალი
ჩუენ ქართველთა
ნათესავისა“**

გიორგი მაჭარაშვილი

„სარწმუნოებად მართალი
ჩუენ ქართველთა
ნათესავისად“

თბილისი | 2010

„სარწმუნოება“, როგორც საღვთისმეტყველო ტერმინი, მსოფლიო კრებების შესაბამის განწყობებებში და მთელ რიგ პატრისტიკულ წყაროებში აღნიშნავს „მრწამსს“, „სარწმუნოების სიმბოლოს“. იგი ასევე გამოიყენება დოგმატური ღვთისმეტყველების ისეთ ძეგლთა აღსანიშნავად, როგორებიცაა გრიგოლ საკვირველთმოქმედის მრწამსი, ათანასე დიდის სახელით ცნობილი სარწმუნოების სიმბოლო, მაქსიმე აღმსარებლის, ფოტი დიდის, ანასტასი სინაელის, თეოდორიტი კვირელის „აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ“.

ნაშრომში წარმოჩენილია, რომ მოცემული ტერმინი ანალოგიური ფორმითა და შინაარსით გადმოვიდა ბერძნულიდან ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ქართველთა სარწმუნოებაჲ“, რომელიც არცთუ იშვიათად მოიხსენიება შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში, როგორც ჩანს აღნიშნავს მართლმადიდებელი საქართველოს სარწმუნოებრივი თვითშეგნების გამომხატველ დოგმატური ღვთისმეტყველების (სიმბოლოსებურ) ძეგლს. როგორცაა მაგალითად არსენი საფერელის ცნობილი პოლემიკური ტრაქტატის პირველ თავში წარმოდგენილი ტექსტი. ასევე „ძეგლი მართლისა სარწმუნოებისა“, რომელიც ეკუთვნის ექვთიმე გრძელს. როგორც ჩანს არსებობდა სხვა ძეგლებიც.

„სარწმუნოებაჲ მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისაჲ“, რომელიც ღმრთივ-ბრწყინვალედ წარმოთქვა გიორგი ათონელმა ჯერ ანტიოქიელი პატრიარქების, ხოლო შემდეგ ბიზანტიის იმპერატორის წინაშე, წარმოადგენს სწორედ დოგმატურ საღვთისმეტყველო ტრაქტატს, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ იყო სანქცირებული (სხვას არავის ჰქონდა ლეგიტიმური უფლება საქართველოს სახელით მიეღო ძეგლისწერა სარწმუნოებისა). როგორც ჩანს, ხსენებული ტრაქტატის ბერძნული თარგმანი გარკვეულ ტერმინოლოგიურ ბუნდოვნებას შეიცავდა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ დიდი სქიზმის ეპოქაში ბერძენთა ერთი ნაწილისთვის ეს ასე იყო. გიორგი ათონელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ღირი მამა სწორედ ამ ძეგლის მართებულობას ასაბუთებს ბიზანტიელი საეკლესიო და საერო ხელისუფლების წინაშე - იძლევა შესაბამის განმარტებებს, იცავს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტს.

ავტორი მადლიერებით მიიღებს გულისხმიერი მკითხველის შენიშვნებს.
gi.mach@yahoo.com

ნაწილი I - მოკლედ ტერმინ „სარწმუნოების“ შესახებ

როგორც ცნობილია, ეფესოს III მსოფლიო კრებამ დააკანონა მრწამსის უცვალეობის წესი. მაგრამ, ამავე დროს, ეფესოს კრების შესაბამის განწყობებაში ერთხელაც არ მოიხსენება ტერმინი „მრწამსი“ / „სარწმუნოების სიმბოლო“. არამედ, მისი სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი „სარწმუნოება“.

ეფესოს III მსოფლიო კრების VII განწყობებაში ვკითხულობთ:

„სხუად **სარწმუნოება**მ არავინ იკადროს შემოღებად, ესე იგი არს აღწერად ანუ შეწყობად თუნეირ მისსა, რომელი განასაზღვრეს წმიდათა მამათა სულისა თანა წმიდისა ნიკეას შეკრებულთა“¹.

ეფესოს კრების თავმჯდომარე, წმიდა კირილე ალექსანდრიელი იოანე ანტიოქიელისადმი 433 წელს გაგზავნილ წერილში² განმარტავს, რომ „სარწმუნოება“, როგორც საღვთისმეტყველო ტერმინი, წარმოადგენს „მრწამსის“ სინონიმს:

„და არა რადთამე ხატითა სათნო-ვიყოფთ შეძრუად წ[მიდა]თა მამათა ჩ[უე]ნთა ნიკიელთა კრებისა მ[იე]რ განსაზღვრებულსა³ **სარწმუნოება**სა, და არა ოდეს უტეობ არცა სხუათა შეცუალებად ერთისა მხოლოდსა ლექსისა, ანუ ერთისა მხოლოდსა ასოდსა გარდაღებად სიტყუათაგან **მის მრწამსისათა**“⁴.

¹ . დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის რედაქციით, თბ., 1975 წ., გვ. 266; Правила Святых Вселенских Соборов с Толкованиями, М., 1877 г., стр. გვ. 127. ბერძნული ტექსტი იხ. დანართი 1.

² . PG, 77, 180D-181A.

³ . ხელნაწერი: „განსაზღვრებულისა“.

⁴ . ხელნაწერი A-266, 202r. ედიშერ ჭელიძის მიერ ძველი ბერძნულიდან შესრულებული თანამედროვე ქართული თარგმანი ასე იკითხება: „ამასთან, ვერ დავითმენტ ვერანაირად, რომ ვინმესგან შეირყიოს **სარწმუნოება** ანდა

კირილე ალექსანდრიელის ამ სიტყვებს იმოწმებს წმიდა მარკოზ ეფესელი პოლემიკურ თხზულებაში „ლათინი, ანუ სიმბოლოში ჩანართის შესახებ“ და დასძენს: „ის, რომ აქ «სარწმუნოება» ეწოდება **სარწმუნოების სიმბოლოს**, გონიერების მქონეთათვის, ვფიქრობ, ცხადია“⁵.

მარკოზ ეფესელი ყურადღებას აქცევს სასჯელის ფორმებს, რომლებსაც ექვემდებარებიან ეფესოს VII განწესების დამრღვევნი და აღნიშნავს:

„უბრალოდ სასაცილო იქნებოდა, რომ საწინააღმდეგო და ერეტიკული სარწმუნოების შემდგენელი⁶, თუკი ეპისკოპოსი ან მღვდელი იქნებოდა, მხოლოდ [სასულიერო დასიდან] დაემხოთ, ხოლო, თუკი ერის კაცი [იქნებოდა], ანათემას გადასცემოდა, რადგან ყველა ერეტიკოსი ერთიანად

სარწმუნოების სიმბოლო, რაც განსაზღვრეს ჩვენმა წმინდა მამებმა - თავის დროზე ნიკეაში შეკრებილებმა. ვერც იმის ნებას მივცემთ საკუთარ თავს თუ სხვებს, რომ მათგან დადებულში ან სიტყვა შეიცვალოს, ან თუნდაც მარცვალი დაირღვეს“ (თბილისის სასულიერო აკადემია, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, II, თბ., 2004 წ., გვ. 87-90). რუსულ თარგმანებში ვკითხულობთ: «... чтобы кто-нибудь потрясал **веру** или **символ веры**...» (Деяния Вселенских Соборов, т. 2, Казань, 1861 г., стр. 379; Восточные отцы и учителя Церкви V века, М., 2000 г., стр. 110-113); «Никоим образом мы не допускаем нарушать **веру**, изложенную Отцами нашими, то есть **Символ Веры**...» (Архимандрит Амвросий Погодин, Святой Марк Эфесский и Флорентийская уния, Holy Trinity Monastery, Jordanville, N. Y., 1963. რუსული თარგმანი შესრულებულია წიგნიდან: Mgr. Louis Petit, Patrologia Orient., t.17, pp. 415-421). ბერძნული ტექსტი იხ. დანართი 3; ლექსიკონი იხ. დანართი 4.

⁵. «А то, что здесь "верой" называется Символ Веры, ясно, полагаю, для имущих разум» (იხ. Марк Эфесский, Латинянин или о прибавлении в Символе, Перевод на русский язык Архимандрита Амвросия (Погодина) с Mgr. Louis Petit, Patrologia Orient., t. 17, pp..415-421).

⁶. ანუ ერესიარქი.

გადაეცემა ანათემას, ეპისკოპოსები იქნებიან [ისინი] თუ საერონი“⁷.

მარკოზ ეფესელი ამგვარად აკრიტიკებს დასავლელ ქრისტიანებს, რომელთაც მცდარად მიაჩნდათ, რომ ეფესოს კრების VII განწესება მრწამსის ტექსტში ცვლილებების შეტანას კი არ კრძალავდა, არამედ მხოლოდ ახალი სარწმუნოების გამომგონებელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. მარკოზ ეფესელი სასჯელების ფორმების გაანალიზებით ასაბუთებს, რომ აღნიშნული კანონიკური განწესება სწორედ მრწამსის ტექსტის ხელყოფას კრძალავს - „აკრძალვა შეეხება [მრწამსის] ტექსტს და არა (მხოლოდ) შინაარსს“, - წერს იგი⁸.

არქიმანდრიტი ამბროსი პოგოდინი, რომელსაც ეკუთვნის მარკოზ ეფესელის თხზულებათა რუსული თარგმანები, აღნიშნავს, რომ ეფესოს VII განწესებასა და კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლეში მოხსენებული ტერმინი „სარწმუნოება“ უდრის ნიკეა-კონსტანტინეპოლის „მრწამსს“: „სიტყვაში **«სარწმუნოება»** სრული დარწმუნებით უნდა ვიგულისხმოთ **«სარწმუნოების სიმბოლო»**, რადგან ეს სიტყვა ბერძენ მამებთან ენაცვლება **«სარწმუნოების სიმბოლოს»**“⁹.

მართლაც, „სარწმუნოება“, როგორც „მრწამსის“ აღმნიშვნელი ტერმინი, არცთუ იშვიათად გვხვდება ეკლესიის მამების თხზულებებში. მათ შორის ათანასე დიდთან, ბასილი

⁷ . «просто было бы смешно, что составляющий противоположную и еретическую веру - если он епископ или клирик, только низлагался бы, а если - мирянин, предавался бы анафеме, поскольку предаются анафеме в равной степени все еретики, будь то епископ или мирянин» (იხ. მარკოზ ეფესელი, ხსენებული თხზულება, Patrologia Orient. T.17, pp.415-421).

⁸ . «запрещение относится к тексту, а не (только) к смыслу» (იქვე).

⁹ . «Под словом "Вера" по всей вероятности следует разуметь "Символ Веры", ибо это слово у греческих Отцев заменяет "Символ Веры"» (იხ. Марк Эфесский, Слово папе Евгению IV, იქვე, გვ. 336-341).

დიდთან, ამფილოქე იკონიელთან და სხვა მამებთან¹⁰. ეფესოს კრების გარდა აღნიშნულ ტერმინოლოგიას ვხვდებით ლაოდიკიის, ტრულისა და კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების განწყობებშიც¹¹. უფრო მეტიც, „სარწმუნოება“ არა მხოლოდ ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლოს აღსანიშნავად გამოიყენება, არამედ „სარწმუნოებად“ იწოდება ასევე გრიგოლ ნეოკესარიელის სარწმუნოების გარდამოცემა, ათანასე დიდის სახელით ცნობილი სიმბოლო, ფოტი დიდისა და სხვა მამების ანალოგიური დოგმატური თხზულებები.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ „სარწმუნოება“, როგორც „სარწმუნოების სიმბოლო“ აღმნიშვნელი ტერმინი, წმიდა მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებებისა და ღმრთისმეტყველი მამების ავტორიტეტით დამკვიდრდა მართლმადიდებელ აღმოსავლეთში.

სწორედ ამგვარი ფორმითა და შინაარსით გადმოვიდა ბერძნულიდან ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში მოცემული საღვთისმეტყველო ტერმინი.

დასაწყისში უკვე დავიმოწმეთ ამონარიდი წმიდა არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი ეფესოს კრების VII განწყობებიდან. მისივე თარგმნილ კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების I განწყობაში ვკითხულობთ:

„ნუმცა შეურაცხ-იქმნების **სარწმუნოება** ნიკეას ბითვნიისასა შეკრებულთა სამასათრვამეტთა მამათაჲ, არამედ ეგენ იგი საკუთრებასა შინა თვსსა“¹². თანამედროვე ქართული თარგმანი ასეთი იქნება: „ნუ დაკნინდება ბითვნიის ნიკეაში შეკრებილი სამას თვრამეტი მამის **სარწმუნოების სიმბოლო / მრწამსი**, არამედ დარჩეს იგი იმ სახით, როგორც არის“.

¹⁰ . Lampe, A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961, გვ. 1087; Sophocles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, Cambridge, 1914, გვ. 891. ოხ. დანართი 2.

¹¹ . იქვე.

¹² . დიდი სჯულისკანონი, გვ. 261.

მოცემულ ტერმინოლოგიას არსენ იყალთოელზე გაცილებით ადრე ვხვდებით ექვთიმე ათონელის შემოქმედებაში. მის მიერ თარგმნილ წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში ვკითხულობთ:

„აწ ოჯკოჲე ჩ[უენ] ყ[ოვე]ლივე წ[მიდა]თა მათ კრებათა მ[იერ] ქადაგებოჯლსა **სარწმუნოებასა** ვქადაგებთ და დავამტკიცებთ. და ესრეთ ვლაღაღებთ. შემოკრებ[უ]ლნი წ[მიდა]სა ამას კრებასა მეექოჯსესა: **გოჯრწამს ერთი ღ[მერთი] მამა ყ[ოვე]ლისა მჰყობელი შემოქმედი ცათა და ქ[ოვე]ყნისამ. ხილოჯლთა ყ[ოვე]ლთა და არახილოჯლთამ...**“ (შემდეგ გრძელდება მრწამსის ტექსტი ბოლომდე)¹³.

ასევე წმიდა ექვთიმეს მცირე სჯულისკანონში ვკითხულობთ:

„და ვითარცა კრებასა მას დიდსა ნიკიისასა ტიჯ (318) მამათა მიერ აღიწერა **მრწამსი** მართლისა სარწმუნოებისა, ქადაგებად, შეურყეველად და შეუცვალებელად გვიჰყირის **სარწმუნოებად იგი** მართალი და ყოველსა სოფელსა ვქადაგებთ“¹⁴.

მოცემულ ტერმინოლოგიას ზედმიწევნით იცნობდა წმიდა გიორგი ათონელი. როგორც ცნობილია, მან თარგმნა „ეპისტოლენი წმიდისა კჯრილესნი“¹⁵. უკანასკნელ დრომდე ეს თარგმანები დაკარგულად ითვლებოდა. მაგრამ თამარ ცოფურაშვილის გამოკვლევამ ცხადყო, რომ მისმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე გვიანდელი ხელნაწერის სახით¹⁶.

¹³ . ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კ. კეკელიძის რედაქციით, ნაწილი I, კიმენი I, ტფ., 1918 წ., გვ. 98.

¹⁴ . მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის რედაქციით, თბ., 1972 წ., გვ. 127.

¹⁵ . გიორგი მცირე, ცხორებად გიორგი მთაწმიდელისა, ძელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1967 წ., გვ. 147.

¹⁶ . თამარ ცოფურაშვილი, ერთი ხელნაწერის წარმომავლობისათვის, ამირანი, XIII, 2005 წ.

ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ციტატი წმიდა კირილეს ეპისტოლედან იოანე ანტიოქიელისადმი. იგივე საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიას ვხვდებით ასევე კირილეს მიერ აკაკი მელიტინელი ეპისკოპოსისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში. ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ, მთარგმნელობითი მოღვაწეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გიორგი ათონელს მოცემული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია საგანგებოდ ჰქონდა შესწავლილი.

ეს ნათლად ჩანს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დუკასთან მისი საუბრიდან. იმპერატორმა მას ჰკითხა, რატომ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან რომისა და მართლმადიდებელი აღმოსავლეთის ევქარისტის პრაქტიკა. ღირსმა მამამ განუმარტა იმპერატორს აღნიშნული საკითხი და დასძინა: „არარაჲ არს ამას შინა განყოფილებაჲ, ოდენ **სარწმუნოებაჲ** მართალი იყოს“¹⁷. ესე იგი, თუკი **სარწმუნოების სიმბლო** მართალი (ანუ ფილიოკვედაურთველი) იქნებოდა, ევქარისტის პრაქტიკაში არსებულ განსხვავებებში არ იყო განხეთქილების არანაირი მიზეზი.

ანალოგიური აზრი გააჩნდა ასევე გიორგი ათონელის ახლო მეგობარს, პეტრე ანტიოქიელ პატრიარქს: „თუკი ლათინები ამოიღებდნენ მრწამსიდან დამატებას, მე აღარ მოვთხოვდი მათ არაფერს, მივიჩნევდი რა უმნიშვნელოდ ყოველივე დანარჩენს“ - აღნიშნავს იგი პატრიარქ მიხეილ კერულარიოსისადმი გაგზავნილ წერილში¹⁸.

ჩვენი ვარაუდით, ღირსი გიორგი ათონელისა და პეტრე პატრიარქის ეს მოსაზრება უნდა ემყარებოდეს ბასილი დიდის 109(113)-ე ეპისტოლეს. აღნიშნულ წერილში წმიდა ბასილი

¹⁷ . გიორგი მცირე, ცხორებაჲ..., გვ. 179-180.

¹⁸ . ალ. ალექსიძე, ქართულ ენაზე მოღწეული ანტილათინური პოლემიკური თხზულება (ევსტრატე ნიკიელის ტრაქტატი), თსუ შრომები, 162, თბ., 1975 წ., გვ. 117; ეკლესიათა განყოფის საბოლოო აქტი, გაზ. „მადლი“, 18 სექტემბერი 1997 წ., #8-9(123-124), გვ. 8.

დიდი ურჩევს ტარსელ სამღვდელოებას, იმ შემთხვევაში, თუკი ქრისტიანები, რომლებსაც სულიწმიდის შესახებ დამახინჯებული სწავლება ეპყრათ, აღიარებდნენ ნიკეის სარწმუნოებას (ანუ მრწამსს), შეეწყნარებინათ ისინი ეკლესიურ ერთობაში იმ იმედით, რომ ეკლესიის წიაღში მყოფნი დროთა განმავლობაში უკეთ შეიმეცნებდნენ ჭეშმარიტებას და გამოსწორდებოდნენ.

გიორგი ათონელის კათოლიციზმთან დამოკიდებულებაზე ამჯერად მსჯელობას არ განვაგრძობთ. ეს საკითხი დაწვრილებით გვაქვს განხილული წიგნში „გიორგი ათონელი და კათოლიციზმი“.

ნაწილი II - „სარწმუნოებად მართალი ჩუნ ქართველთა ნათესავისად“

წარმოებულმა ტერმინოლოგიურმა კვლევამ მიგვიყვანა ერთ საინტერესო მოსაზრებამდე:

ფაქტია, რომ „სარწმუნოებად“, როგორც საღვთისმეტყველო ტერმინი, უდრის „მრწამსს“ / „სარწმუნოების სიმბოლოს“, ან ისეთ სიმბოლურ-დოგმატურ ძეგლს, როგორც არის, მაგალითად, გრიგოლ ნეოკესარიელის სარწმუნოების გარდამოცემა. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ გიორგი ათონელის ცხოვრებაში რამოდენიმე ადგილას ამ სახით მოიხსენიებოდეს ქართული მწერლობის ორიგინალური ძეგლი, დოგმატური თხზულება, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრების მიერ იყო დამტკიცებული. სწორედ ეს „სარწმუნოებად მართალი ჩუნ ქართველთა ნათესავისად“ განმარტა ღვთივბრწყინვალედ გიორგი ათონელმა როგორც ანტიოქიის პატრიარქების, ისე ბიზანტიის იმპერატორის წინაშე (ეტყობა იმხანად ამ თხზულების ბერძნული თარგმანი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო ბერძენთა ერთი ნაწილისთვის).

კონსტანტინე დუკამ გიორგი ათონელს სომხურ-გრიგორიანული რჯულის შესახებაც ჰკითხა. ღირსმა მამამ მიუგო: „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელიცა ნუ ედებინ“¹⁹. სავსებით შესაძლებელია, აქ მის სიტყვებში ნერსეს კათალიკოსის (1166-1173 წწ.) მიერ შედგენილი „სომხური ეკლესიის სარწმუნოების გარდამოცემის“ მსგავსი დოგმატური თხზულება იგულისხმებოდეს²⁰.

„სარწმუნოებად მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისად“, რომლის ღირსებაც გიორგი ათონელმა დაიცვა, შესაძლოა იყოს არსენ საფარელის ანტიმონოფიზიტური პოლემიკური ტრაქტატის პირველ თავში მოცემული სიმბოლოსებური თხზულება (იხ. დანართი 5) ან სხვა ანალოგიური დოგმატური ძეგლი. მაგალითად, „ძეგლი მართლისა სარწმუნოებისა“, რომელიც ეკუთვნის ექვთიმე გრძელს²¹. ნიშანდობლივია, რომ ორივე ძეგლი, როგორც არსენის, ისე ექვთიმე გრძელის, მიმართულია უპირატესად სომხურ-გრიგორიანული მოძღვრების წინააღმდეგ²² და ორივე

¹⁹ . გიორგი მცირე, ცხორებად..., გვ. 180.

²⁰ . И. Троицкий, Изложение веры Церкви Армянския начертанное Нерсесом, Католикосом Армянским, по требованию Боголюбивого государя греков Мануила, С-Пб., 1875. წიგნის მეექვსე თავში (გვ. 72-114) მოცემულია კათალიკოს ნერსესის „გარდამოცემის“ შედარება მართლმადიდებლურ და მონოფიზიტურ დოგმატურ-სიმბოლურ ძეგლებთან.

²¹ . „ესრეთ იდიდა წმიდისა ამის და ღუთის მზრახუჭლისა ღმრთშემოსილი-სა მამისა ეფთჳმე გრძელისა მიერ მართლ მადიდებელი ჰსჯული და წმიდა სარწმუნოება ჩუჭნი, რომელი იქმნა ძეგლ მართლისა სარწმუნოებისა“ (იხ. „სიტყვს გება ბერისა ეფთჳმე გრძელისა, სოსთენის მიმართ, სომეხთ მოძღურისა“, მიხეილ საბინინი, საქართველოს სამოთხე, ს-პბ., 1882 წ., გვ. 621). არ არის გამორიცხული, არსენ დიდისა და ექვთიმე გრძელის თხზულებები თავის მხრივ ეყრდნობოდეს სწორედ იმ დოგმატურ თხზულებას, რომელიც მამა გიორგის ცხოვრებაში მოიხსენება, როგორც „სარწმუნოებად მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისად“.

²² . აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც გიორგი ათონელმა განმარტა „სარწმუნოებად მართალი ჩუენ ქართველთა

მხოლოდ ექვს მსოფლიო კრებას მოიხსენებს. ესე იგი „სარწმუნოებაჲ მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისაჲ“ შედგენილი უნდა იყოს 681, ან 691 წლის (ანუ კონსტანტინეპოლის მეექვსე, ან ტრულის მეხუთე-მეექვსედ სახელდებული კრების) შემდგომ პერიოდში 787 წლამდე, ვიდრე ნიკეის მეშვიდე მსოფლიო კრება გაიმართებოდა. იმედია შემდგომი კვლევები მეტ სიცხადეს მოჰფენს საკითხს.

დანართები

დანართი 1

ამონარიდები კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრების I განწყესებიდან და ეფესოს მესამე მსოფლიო კრების VII განწყესებიდან. ბერძნული ტექსტები მოცემულია პარალელური რუსული თარგმანით. Правила Святых Вселенских Соборов с Толкованиями, М., 1877 г., стр. 78, 115. ნიშანდობლივია, რომ ბერძნული „πίσι“ ერთ შემთხვევაში რუსულში გადასულია, როგორც „символ веры“ (სარწმუნოების სიმბოლო), ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც „вера“ (რწმენა / მრწამსი).

Κανὼν ἄ.

Ἦρισαν οἱ ἐν Κωνσταντινου-
πόλει συνελθόντες ἅγιοι
Πατέρες· μὴ ἀθετεῖσθαι τὴν
πίσιν τῶν Πατέρων τῶν τρια-
κοσίων δεκαοκτώ, τῶν ἐν
Νικαίᾳ τῆς Βιθυνίας συνελ-
θόντων, ἀλλὰ μένειν ἐκείνην
χυρίαν, καὶ ἀναθεματισθῆναι
πᾶσαν αἵρεσιν, καὶ εἰδι-
χῶς· τὴν τῶν Εὐνομιανῶν,
ἔγνω Ἀποστόλου καὶ τὴν τῶν

Правило ἄ.

Οἱ ἅγιοι Ὁττιῆς, σοβρά-
νιῆς ἐκ Κωνσταντῖνο-
πόλεως, ὠπρεδ'καίη: да не
ᾠλ'κ'η'ε'τ'ε'α Ὁ'μβόλ'α κ'ῆ-
ρυ τρέχ'α ὠ'τ'α Ὁσминά-
ε'α'τι Ὁττιέ'ε'ς, ἐκ'κ'σ'ι'η'χ
η' Ὁσβόρ'κ' ἐκ Πί'κ'ε'ν, ч'т'ο
ἐκ Β'ί'λ'ν'η'и, но да пребы-
ε'а'ε'т'а Ὁ'н'ы'й не'пре'л'о'же'н'а:
и да пре'д'а'е'т'а ἀνά'ε'μ'ε'κ
κ'ε'λ'ε'κ'α ε'ο'ε'ε'κ, и ἡ'μ'ε'н'н'а:

Τούτων ἀναγνωσθέντων, ὥρισεν ἡ ἅγια Σύνοδος· ἐτέραν πίστιν μηδενὶ ἐξεῖναι προφέρειν, ἢ γὰρ συγγράφειν, ἢ συντιθέναι, παρὰ τὴν ὀρισθεῖσαν παρὰ τῶν ἁγίων Πατέρων, τῶν ἐν τῇ Νικαέων συναχθέντων πόλει σὺν Ἁγίῳ Πνεύματι. Τοὺς δὲ τοιούτους ἢ συντιθέναι πίστιν ἐπέ-

По прочтѣніи сего, свѣтлѣйшій Синодъ ѡпредѣлилъ: да не вѣдѣтъхъ позвѣлено никомѣ произносіти, илѣ писати, илѣ слагати иишю вѣрѣ, кромѣ ѡпредѣленныя ѡ свѣтлѣйшѣмъ Сѣтецѣ, въ Никейнѣ градѣ, со Сѣтымъ Дѣомъ собравшимъ. И ко-
тѣмъ же вѣрѣ слагати

ამონარიდები სოფოკლესა (გვ. 891) და ლამპეს (გვ. 1087) ლექსიკონებიდან, სადაც ბერძნული „πίστις“ / „πιστός“ განმარებულია, როგორც „სარწმუნოების სიმბოლო“. ორივე ლექსიკონში უხვად არის დამოწმებული პატრისტიკული წყაროები. საყურადღებოა, რომ მათ შორის არიან დასავლეთის ეკლესიის მოძღვრებიც.

πίστιος, ον, the Roman fidus. Dion. H. II, 782, 5, Ζεύς.

πίστις, εως, ἡ, confidence, faith. Dion. H. I, 399, 13, δημοσία, fides publica, public faith.

Jos. Ant. 18, 1, 3 Ἀθάνατόν τε ἰσχὺν ταῖς ψυ-

χαῖς πίστις (est) αὐτοῖς εἶναι, = πιστεύουσιν

Basilic. 2, 3, 22 = Rom. Porph. Novell.

285, καλῆ, bona fide. — 2. Faith, in a reli-

gious sense. Philon II, 39, 18, ἡ πρὸς τὸ ὄν.

179, 15. Clem. R. 1, 22, ἡ ἐν Χριστῷ. Plut.

II, 1101 C. Polyc. 1005 A. Clem. A. I,

376 A. 372 B. 285 A. 729 B. 733 A. 945 A.

II, 12 C. Euagr. Scit. 1233 B. — 3. Creed.

Eus. II, 1540 A. 1541 C. D. Athan. I, 468 A.

549 A. 588 A. II, 700 C. 800 A, et alibi.

Basil. IV, 389 D. 529 A. 917 D. Amphil. 96

A. Ephes. 7. (Compare Iren. 549 A. 855 C.

Tertull. II, 156 B seq. 168 C seq.) — 4. Fi-

des, protection; a Latinism. Ἡ τῶν Ρωμαίων

πίστις, fides Romanorum. Polyb. 2, 11, 10.

μία π. Bas.ep.226.3(3.348B; M.32.848C); its novelty τί γὰρ ἔλειπε διδασκαλίας εἰς εὐσέβειαν τῇ καθολικῇ ἐκκλησίᾳ, ἵνα νῦν περὶ πίστεως ζητῶσι καὶ τὴν ὑπατείαν τῶν παρόντων χρόνων προστάσσωσι τῶν παρ' αὐτῶν ἐκτιθεμένων ῥημάτων δῆθεν περὶ π.;...γράφαντες γὰρ ὡς ἤθελον αὐτοὶ πιστεῦειν προέταξαν τὴν ὑπατείαν...ἵνα δείξωσι πᾶσι φρονίμοις ὅτι μὴ πρότερον, ἀλλὰ νῦν ἐπὶ Κωνσταντίου ἀρχὴν ἔχει τούτων ἡ π. Ath.syn.3.3(p.232.23ff.; M.26.684C-685A); *ib.*4(p.233.21ff.; 688A,B); its rationalist tendencies ἡ τῆς ἀπλότητος π. βελτίων ἐστὶ τῆς ἐκ περιεργίας πιθανολογίας *id.*At.3.1(M.26.324A); μόνον, φησί, [sc. Apoll.] τὴν εὐσεβῆ π. ἀγαθὸν ἦν νομίζεσθαι· μηδὲ γὰρ τῇ Εὐα συνενεγκεῖν τὴν ἀνεξέταστον π. ὥστε προσῆκε καὶ τὴν Χριστιανῶν ἐξητασμένην εἶναι, μὴ που λάθῃ ταῖς τῶν Ἑλλήνων ἢ τῶν Ἰουδαίων συνεμπεσοῦσα δόξαις Gr.Nyss.Apoll.4(M.45.1129C); τὴν δὲ π. οὐ βλέπουσι τῷ τῆς ψυχῆς ὀφθαλμῷ, ὅπερ δὴ μόνον σύμμετρόν ἐστι τῇ ἡμετέρᾳ κατανοήσει, τὴν ἐκ τῶν λογισμῶν ἐπίγνωσιν ἐπίπροσθεν ταύτης ποιούμενοι *id.*Eup.10(2 p.230.20; M.45.832B); objection to heretics defining or usurping 'the faith', Ath.ep.Aeg.Lib.7(M.25.553A); εἴθε περὶ τῆς πίστεως ἑαυτῶν ἔγραφον 'νῦν γὰρ ἤρξατο' καὶ μὴ ὡς περὶ τῆς καθολικῆς ἐπεχείρουν· οὐ γὰρ ἔγραψαν 'οὕτως πιστεύομεν' ἀλλ' ὅτι 'ἐξετέθη ἡ καθολικὴ π.' *id.*syn.3.3(p.233.15; M.26.685C).

F. as embodied in a creed; 1. *faith, creed*, of Nicaea as pre-eminently orthodox faith κατέχων ἕκαστος τὴν ἐκ πατέρων π., ἦν καὶ οἱ ἐν Νικαίᾳ συνελθόντες ὑπέμνησαν γράψαντες Ath.ep.Aeg.Lib.8 (M.25.556A); *ib.*21(588A); *id.*ep.Adelp.6(M.26.1080A); Bas.ep.226.3(3.348A; M.32.848B); μὴ ἀθετεῖσθαι τὴν π. τῶν πατέρων...τῶν ἐν Νικαίᾳ...συνελθόντων CCP(381)can.1; Thdt.h.e.2.21.1(3.879); to which no additions are to be made, Ath.tom.5(M.26.800C,D); οὐδὲν δυνάμεθα τῇ κατὰ Νικαίαν π. προστιθέναι ἡμεῖς, οὐδὲ τὸ βραχύτατον, πλὴν τῆς εἰς τὸ πνεῦμα τὸ ἅγιον δοξολογίας...τὰ δὲ προσυφαινόμενα τῇ π. ἐκείνῃ δόγματα, περὶ τῆς τοῦ κυρίου ἐνανθρωπήσεως, ὡς βαθύτερα τῆς ἡμετέρας καταλήψεως, οὔτε ἐβασανίσσαμεν, οὔτε παρεδεξάμεθα· εἰδότες ὅτι ἐπειδὴν τὴν ἀπλότητα τῆς π. ἀπαξ παρακινήσωμεν, οὔτε τι πέρασ τῶν λόγων εὐρήσομεν Bas.ep.258.2(3.393D; M.32.949B,C); 2. of other creeds ἡ γραφεῖσα παρὰ τῶν ἁγίων πατέρων π. τῶν κατὰ τὴν Νικαίαν συνελθόντων *ib.*140.2(3.233B; M.32.588B); *ib.*51.2(3.144B; M.389C); δεῖ τοὺς φωτιζομένους τὴν π. ἐκμανθάνειν, καὶ...ἀπαγγέλλειν CLaod.can.46,47 = CTrull.can.78; Philost.h.e.5.1(M.65.528C); ref. *traditio symboli* to catechumens π. ... ἐστὶ τὸ βαλεῖν τὸ ἀργύριον ἐπὶ τὴν τράπεζαν, ὅπερ ἡμεῖς νῦν πεποιήκαμεν· θεὸς δὲ παρ' ὑμῶν ἀπαιτεῖ τῆς παρακαταθήκης τοὺς λόγους...τηρῆσαι ταύτην ὑμᾶς τὴν παραδεδομένην π. ἄσπιλον Cyr.H.catech.5.13.

G. various epithets of orthodox faith ὑγαίνουσα, Ath.syn.6(p.234.

დანართი 3

კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლე იოანე ანტიოქიელისადმი, ე.წ. ეფესოს სიმბოლო. ბერძნული ტექსტი (ამონარიდი). PG, 77, 179-180. წითლით მონიშნულია ადგილი, სადაც ხაზგასმულია ტერმინების „სარწმუნოებისა“ და „სარწმუნოების სიმბოლოს“ იდენტურობა.

δ' ἄν καὶ χρήσεις αὐτῶν πολλὰς, τοὺς ἑμαυτοῦ λό-
γους ἐξ αὐτῶν πιστούμενος, εἰ μὴ τὸ μῆκος ἐδεδίειν
τοῦ γράμματος, μὴ ἄρα πως γένηται διὰ τοῦτο
προσχορὲς. Καὶ κατ' οὐδένα δὲ τρόπον σαλεύεσθαι
πρὸς τινῶν ἀνεχόμεθα τὴν ὀρισθεῖσαν πίστιν, ἥτοι
τὸ τῆς πίστεως σύμβολον, παρὰ τῶν ἁγίων ἡμῶν
Πατέρων, τῶν ἐν Νικαίᾳ συνελθόντων κατὰ καιροῦς.
Οὔτε μὴν ἐπιτρέπομεν ἑαυτοῖς, ἢ ἑτέροις, ἢ λέξιν

დანართი 4

ეს დანართი მოგვყავს იმის გამო, რომ კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლეში იოანე ანტიოქიელისადმი, სადაც ხდება ტერმინ „სარწმუნოების“ მნიშვნელობის განმარტება, თანამედროვე ქართულ თარგმანში არსებულმა „ანდა“-მ და ზოგ რუსულ თარგმანში არსებულმა „или“-მ არ დააბნიოს მკითხველი („სარწმუნოება, ანდა სარწმუნოების სიმბოლო“ / „вера, или символ веры“). მოგვყავს ამონარიდი კოსოვიჩების ბერძნულ-რუსული ლექსიკონიდან (Коссович И., Коссович К., Греческо-Русский Словарь, 1, М., 1848 г., стр. 849). ეს იმ იშვიათი ლექსიკონების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც აღნიშნულია, რომ ბერძნული „ἦτοι“ იმ კონტექსტში, სადაც ხდება სიტყვის მნიშვნელობის განმარტება, ითარგმნება არა როგორც „или“ / „ან“ / „ანდა“, არამედ როგორც „то есть“ / „ანუ“ / „ესე იგი“. შესაბამისად, ვფიქრობთ, აზრი უფრო ზედმიწევნით და ნათლად იქნება გადმოცემული, თუკი კირილე ალექსანდრიელის ზემოთ მოხმობილი ციტატის თანამედროვე ქართულ თარგმანში იქნება - „სარწმუნოება ანუ მრწამსი / სიმბოლო სარწმუნოებისა“.

<p>ἦτοι, (ср. τοί, собственно: право я говорю тебе, 1) начинается новое предложение, деля переходя отъ предыдущаго, и такъ вопль, въ самомъ дѣлѣ; ставится послѣ мѣстоименія съ δέ, ῥά, иногда послѣ ἀλλά, ἐνθα, ὅφρα, ὥς, Ποτ., Нес. — 2) Или, въ первомъ членѣ, ἦτοι — ἦ, ἦτοι φιλοῦσά γε ἦ καὶ τι διγῶσα, Eur. Ion. 431; ἦτοι κρύφα γε ἦ φανερώς, Thuc. 6, 34, и др.; редко ἦ — ἦτοι, Pind. N. 6, 8, и ἦτοι — ἦτοι, Ar. Rh 4, 1239, поздн. — <u>При объясненіяхъ словъ: ἦο εστὶν, ἦμαιν, какъ ἦχουν</u>, Gramm. — ἦ τοι, II, VI, 56.</p>	<p>ἦχεῖον, τό, (ἦ) спрументъ, зонансъ лиры шина для подг. Ar. Nubb. 292 деиѣ звука, ἦχέτα, δ, эп., ко звучащій, ἦχέτης, δ, = ἦχητικός, ἦ с звѣннщій, ἦχέω, (ἀχέω), лю, Нес., Ar. ляю оглашат</p>
--	---

დანართი 5

არსენ დიდის პოლემიკური ტრაქტატის პირველი თავი (იხ. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ზაზა ალექსიძის გამოცემა, თბ., 1980 წ., გვ. 77-78):

„კაცნო ღმრთის-მოყუარენო, რომელნი იშვებით ემზაზისაგან ცხოველისა, ყოვლად წმიდისა და დიდებულისა კათოლიკე ეკლესიისა, სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა, რომელი დადვეს წმიდათა მოციქულთა შეურყეველად, და ძირ-უბნ დათესულსა მათსა, ყოვლად ქებულთა წმიდათა და მღდელთ-მომღუართა, ჭემმარიტითა და მართლითა სარწმუნოებითა, და წამეს, ვითარცა ერთითა პირითა, ექუსთა მათ შინა კრებათა, რომელთა მიერ პირველ ზრახვიდა თვთ თავადი ღმერთი, და განაწესეს ესრეთ და გუასწავეს ჩუენ:

მამად ყოვლისა მპყრობელი, დამზადებელი ყოველთა არსთა - ხილულთა და უხილავთა; ძე მხოლოდ, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგანი, ღმრთისაგან ჭემმარიტისა შობილი და არა ქმნული, სწორი მამისა და თანა-მოქმედად მამისა ყოველსავე, რომელმან აღსასრულსა ჟამთასა შეიმოსა სიმდაბლით უძლური კაცებად ჩუენი საშოსა შინა წმიდისა ქალწულისასა, ჯუარს-ეცუა და მოკუდა ჭემმარიტად და არა საოცრად, ბუნებითა ჯორცთადათა, და ღმრთეებისა ძალითა აღდგა და თანა-აღადგინა დაცემად ჩუენი პირველი, ამაღლდა მუნვე მამისა, და კუალად მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკუდართა დიდებითა, ჯორცითა მით, რომელ ჩუენგან მიიხუნა; და სული წმიდად, უფალი ცხოველს-მყოფელი, მამისაგან გამომავალი და ძისა თანა თაყუანის-ცემული, თანასწორი მამისა და ძისა, თანა-მოქმედად საუკუნეთა, რომელი იტყოდა პირითა წინაწარმეტყუელთადათა ყოველსავე მომავალსა; და ერთი წმიდად და დიდებული კათოლიკე ეკლესია, რომლისაგან განიდევნნეს ყოველნი მწვალებელნი სიბრძითა უკეთურებისადათა, რომელსა შინა იდიდების წმიდად სამებად მარადის მართლითა აღსარებითა“.